ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დიდის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990
ხუთშაბათი
8
ნოემბერი
№134 (10371)

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

## ჩვენი სალოცავია საქართველო

ამჟამად ჩვენს თვალწინ მიმდინარე მოვლენები მთლიანად ცვლიან სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, სამეურნეო ურთიერთობათა სისტემას. დრო მთელი სერიოზულობით აყენებს იმის საჭიროებას, რომ გადაისინჯოს მართვის, წარმოების სტრუქტურები, დამკვიდრდეს ახალი მიდგომები, კრიტერიუმები. საქართველოს ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესია განიხილავს პირველი რიგის გადასაწყვეტ საკითხებს, შეიმუშავებს სოციალურ-ეკონომიკურ, თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ვითარების თვისობრივად გარდატეხის კარდინალურ მიმართულებებს. ბუნებრივია, წამოწყებული პროცესები დაზღვეული არ იქნება უჩვეულო კოლიზიებისა და სიმძაფრისაგან, მაგრამ საზოგადოების ყველა წევრის შინაგანი სურვილია ცხოვრება ძირფესვიანად განახლდეს.

ჩვენს გაზეთს, რა თქმა უნდა ესმის, დროით მოტანილი სიახლეების მნიშვნელობა. საქმიანობის ნებისმიერ უბანზე მთელი სიღრმით იჩენს თავს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერესების, თვალსაზრისების ფართო სპექტრი. გაზეთის მუშაკებს თვით დრო კარნახობს თავი აარიდოს ყოველგვარ დიქტატს, პარტიული მიკერძოების პრაქტიკას და თავის ფურცლებზე თავისუფლად დაუთმოს ადგილი შეხედულებათა ფართო გამას, ამა თუ იმ პრობლემაზე ალტერნატიულ მოსაზრებებს. რა თქმა უნდა, პრესის უფლებათა რადიკალურად გაფართოება არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ თვითონ არ დავაწესოთ სარედაქციო მუშაობის გარკვეული რეგლამენტი, საჭირო შეზღუდვები ცალკეული პუბლიკაციების მიმართ, რომლებიც აკრძალული თემების რკალში ექცევა. გაზეთს ექნება თავისი გამოკვეთილი პოზიცია, რითაც ყოველნაირად შეუწყობს ხელს ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. ერთი სიტყვით, გაზეთი „ოდიში" გადაჭრით თავისუფლდება ყოველგვარი მონოპოლიისაგან და გეზს იღებს თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის სტატუსის დამკვიდრებისაკენ.

გაზეთს არასდროს არ ჰქონია ღალხენიანი ცხოვრება. მაგრამ ამიერიდან, საქართველოს განახლების კვალობაზე ერთიორად უფრო მძიმე ტვირთი დააწვება მხრებზე რედაქციის მუშაკს, უშტატო კორესპონდენტთა ფართო აქტივს. გაზეთს მოსაძებნი ექნება ახალი ხედვის წერტილი ამათუიმ თემის გახსნისათვის. საგანგებო ყურადღება დაეთმობა დღემდე მოქმედი სამეურნეო სტრუქტურების დემონტაჟისა და წარმოებითი ურთიერთობის ახალი ფორმების დამკვიდრების პროცესის პროპაგანდას. ჟურნალისტის ნაცადი კალამი უჩვეულო შეუპოვრობით გაარღვევს დრომოჭმული სტერეოტიპების მძიმე ჯაჭვს და ერთგული მოკავშირე გახდება ყველა იმ ძალისხმევისა, რომელიც მრავალწყობიანი ეკონომიკური საკუთრების დანერგვას შეუწყობს ხელს. გაზეთი აქცენტს გადაიტანს საფინანსო, ეკონომიკური, საბიუჯეტო ურთიერთობების ახლებურ ტექნოლოგიაზე, მართვის პროგრესულ მექანიზმებზე, საბაზრო მეურნეობის პრინციპებზე. განეწყობით ამ პროცესებში ჩართული შემოქმედი მუშაკის, სპეციალისტის სახის, ბედის, მისი დამოკიდებულებას წარმოსაჩენად.

გაზეთი კვლავაც შეეცდება პროფესიონალის სიტყვა შეაწონს შიდასამეურნეო ანგარიშის, ყველა სახის იჯარული სტრუქტურების შემდგომი განვითარების პრობლემებს, მათი თვისობრივად ახალ ფორმებში გადაზრდის პროცესს, როცა ჩნდება პროდუქციის წარმოების გაზრდის რეალური გარანტიები, კერძო საკუთრების პრინციპის პრაქტიკულად ხორცშესხმის პირობები.

წლების მანძილზე გალაღებულმა ავტორიტარულმა სისტემამ იმდენად შებორკა სახელმწიფო მონოპოლიის მარწუხებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, რომ ჩვენ მოთმინების, დროის კიდევ გაჭიანურების ყველა ლიმიტი ამოვწურეთ. ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა ხეირი დაგვაყარა მოქალაქეთა შეგნებაში ჩამოყალიბებულმა ცინიკურმა ცნებამ: მე რა მენაღვლება, საერთოა. ე. ი. ეს სიმდიდრე არავისი არ იყო. თვით აბსურდული დრო, მეურნეობრიობის ანტიბუნებრივი სტილი გვკარნახობდა ამ დევიზისადმი ერთგულებას. დადგა დრო, როდესაც ამ პრინციპით მუშაობას და ცხოვრებას უნდა გავემიჯნოთ. ადამიანმა კონკრეტულად უნდა იგრძნოს თავის ნამუშევრის გემო, დაეუფლოს საკუთრებას, სოციალური გარანტიების განცდა და ა. შ.

ერთი სიტყვით გარკვეულწილად იცვლება პრესის ფუნქციები. თავის დროზე მას ტოტალიტარულმა რეჟიმმა უწოდა ბრძოლის ბასრი იარაღი, რომლის საშუალებით იგი უნდა გასაუბრებოდა ხალხს. შემდგომ ჟურნალისტებს დაარქვეს პარტიის თანაშემწე. ხოლო გაზეთები და ჟურნალები მოინათლა ამძრავ ღვედებად.

არა, არ გვჭირდება ასეთი იდეოლოგიური დოგმების კვალობაზე სიარული. ხალხთან გასაუბრებისას პარტიული ინტერესები შუამავლად არ გამოგვადგება. გაზეთი თავად გამონახავს მათთან გულწრფელი, უშუალო კონტაქტის არხებს. ჩვენ ერთადერთ სალოცავს მოვემსახურებით: საქართველოს, ქართველ ხალხს, მისი წინსვლისა და აღორძინების ინტერესებს.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

## საქინფორმი — ამიერიდან ეროვნული საინფორმაციო სააგენტო „საქართველო"

საქართველოს მინისტრთა საბჭომ მიიღო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტოს — საქინფორმის წინადადება და ამიერიდან საქინფორმს ეწოდება საქართველოს ეროვნული საინფორმაციო სააგენტო „საქართველო".

სახელის შეცვლა უბრალო აბრის შეცვლა როდია. ეს განპირობებულია დროით, რესპუბლიკის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით, საქართველოს მიერ რეალური სუვერენიტეტის მოპოვების პროცესებით.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს" განახლებული სტატუსი ითვალისწინებს საინფორმაციო საქმიანობის განვითარების გზების დღევანდელ მოთხოვნებს. რეალურად ქმნის კონკურენციას საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვა საინფორმაციო სააგენტოებთან. უქმდება საკდესისადმი დაქვემდებარება, როდესაც რესპუბლიკური სააგენტო მხოლოდ ნომინალურად შედიოდა მის სისტემაში როგორც კოლექტიური კორესპონდენტი. ამიერიდან საკდესთან ურთიერთობას, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა სააგენტოებთან, საფუძვლად ედება თანასწორუფლებიანი პარტნიორობის პრინციპი.

რესპუბლიკის მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს ეროვნული საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს" დებულება.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო" არის საინფორმაციო ორგანო, რომელიც სარგებლობს საქართველოს სახელმწიფო კომიტეტის უფლებებით, თავის საქმიანობაში ექვემდებარება რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით.

„საქართველო" კრებს რესპუბლიკის ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას, და ტექსტისა და ფოტომასალების სახით გადასცემს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, აგრეთვე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

„საქართველო" სარგებლობს ავტორის ყველა უფლებით, საკდესთან და მსოფლიოს სხვა საინფორმაციო სააგენტოებთან მორიგებით იგი დამოუკიდებლად გადასცემს საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ გასავრცელებელ რესპუბლიკურ ტექსტობრივ და ფოტოინფორმაციას, ავრცელებს საქართველოში სხვა საინფორმაციო სააგენტოებისაგან მიღებულ ინფორმაციას.

„საქართველოს" შემოსავლის წყაროა შემკვეთისათვის მიწოდებული ინფორმაციის საფასური, საგამომცემლო, სარეკლამო საქმიანობისაგან, მოსახლეობისათვის გაწეული ფასიანი მომსახურებისაგან, კოოპერატივების, ერთობლივი საწარმოების და კანონით დადგენილი მეწარმეობის სხვა ფორმებისაგან მიღებული სახსრები.

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესია 1990 წლის 14 ნოემბერს 10 საათზე ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 5 ნოემბერი.

## საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში

5 ნოემბერს გაიმართა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე. სხდომამ განიხილა საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესიის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები.

გადაწყდა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესია მოწვეულ იქნეს 1990 წლის 14 ნოემბერს დილის 10 საათზე ქ. თბილისში.

პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიქმნა სესიის მოსამზადებელი სხვადასხვა მიმართულების საკონსულტაციო ჯგუფები, რომელთა მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ახლად არჩეული დეპუტატები.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც.

სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჭითანავა, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თვალსაზრისი

## ზოგი რამ აღზრდა-განათლების პერსპექტივებზე

იმ მრავალრიცხოვან უმწვავეს პრობლემათა შორის, რომლებიც ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, არის პრობლემათა გარკვეული წრე, რომელთა გადაჭრების გარეშე საქმაოდ საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელია. ახლებად მიმართვა კულტურის, ზნეობრივი და სულიერი სიჯანსაღის აღორძინების, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა ხასიათის პრობლემებს, რომლებიც მთელი თავისი სიცხადით წარმოჩინდა ქართული საზოგადოების წინაშე, შეიძლება გადაწყვეტილ იქნას მხოლოდ იმ ხალხის მეშვეობით, რომლებიც აშენებენ და იზარჩუნებენ აშენებულს. ყველა ეს პრობლემა სისხლხორცეულად დაკავშირებულია სწავლა-აღზრდის ურთულეს საკითხთან. სწორედ ამიტომაც, კაცობრიობის განვითარების ნებისმიერ საფეხურზე მასწავლებელთა მომზადების და სწავლების საკითხებს უდიდესი დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ექვემდებარებოდა პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას.

ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია და სასიამოვნოც, რომ ზემოთხსენებული საკითხების გადაწყვეტის მცდელობა —ექსპერიმენტული სკოლის გახსნა ზუგდიდელ დემოკრატ პედაგოგთა საზოგადოებამ იდო თავს. ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ სალი აზრი, მამულიშვილური შემართება, საქმისადმი ნოვატორული მიდგომა ხომ ახალგაზრდების ინიციატივით ხდება. მით უმეტეს, რომ ეს საერთო ეროვნული ინტერესებით არის განპირობებული. ზუგდიდელ დემოკრატ პედაგოგთა ეს იდეა პროგრესულია, ბევრ პოზიტიურ მომენტებს შეიცავს და ამდენად იმსახურებს განსაკუთრებულ განხილვას. კონკრეტულად კი: როგორი სკოლა გვინდა, როგორი იქნება მისი აღზრდა-განათლების შესაძლებლობანი? რამდენად შეუწყობს ხელს ის ეროვნული სკოლის კონცეფციის რეალიზაციას? რა შეუძლია პედაგოგიკას, მასწავლებელს და მშობელს? ამ და სხვა საკითხებზე მინდა „ოდიშის" მკითხველებს შევთავაზო ჩემი ზოგიერთი მოსაზრება.

ჩვენს პედაგოგიკაში, როგორც თეორიულად ისე პრაქტიკულადაც აღზრდა-განათლების პროცესი მიმდინარეობს მოუქნელი პროგრამებით და უნაყოფო ინსტრუქციებით, რომლებიც არ ითვალისწინებენ ბავშვის თანდაყოლილი თვისებების გავლენას განვითარების პროცესზე.

ყველა მშობლის საწუკვარი ოცნებაა თავისი პირმშო იყოს უფრო ბედნიერი და შესძლ ის ბუნებრივი ნიჭის სრული რეალიზაცია. მაგრამ რამდენ მშობელს გაუცრუვდა იმედი? მიზეზი სად ვეძიოთ. ბავშვების სიზარმაცეში თუ მშობელთა და აღმზრდელთა პედაგოგიურ არაკომპეტენტურობაში?

გავრცელებული აზრია, რომ აღზრდა-განათლების საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა მშობლებზე და მასწავლებლებზეა დამოკიდებული.

როგორ მივაღწიოთ წარმატებებს სწავლა-აღზრდაში რომლის გარეშე პრობლემებს ვერ გადავწყვეტთ. მოვიყვან ერთ მაგალითს თუ როგორ უფრთხილდებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში თავის ინტელექტუალურ პოტენციალს. ამერიკის შეერთებულ შტატებში განახორციელეს პროგრამა „მერიტ"—ი რომელიც გამოწვეული იყო კოსმოსის ათვისების საქმეში რუსეთის გასწრებით. მაშინ ამერიკელები ამბობდნენ „თუ ჩვენ საჩქაროდ არ შევისწავლით ფიზიკასა და მათემატიკას, მაშინ იძულებული ვიქნებით შევისწავლოთ რუსული ენა". შექმნილი იყო კონგრესის კომისია, რომელმაც გამოიკვლია ჩამორჩენის მიზეზი აღნიშნულ სფეროში. ამერიკელებს თავმოყვარეობამ უბიძგა ეს პრობლემა საკუთარი ძალებით გადაეწყვიტათ. ინტერესმოკლებული არ იქნება ყურადღება გამახვილდეს იმაზე თუ როგორ განხორციელდა ეს პროგრამა. შტატების ყველა სკოლის უფროსი კლასებიდან შეარჩიეს ოთხ-ოთხი პერსპექტიული მოსწავლე, არა ნიშნების მაჩვენებლებით არამედ მათი მისწრაფებებით. ყოველ წლიურად ამორჩეულთა რიცხვი შეადგენდა 600 ათასს, რომელთაგანაც ტესტების მეშვეობით არჩევდნენ 85 ათასს. იმათ ვისაც საუკეთესო მაჩვენებლები ქონდათ. ასეთ მოსწავლეებს ამერიკელები უნიშნავდნენ სტიპენდიებს და უქმნიდნენ განვითარების საუკეთესო პირობებს, უგამოცდოდ ღებულობდნენ საუკეთესო კოლეჯებში.

აღსანიშნავია, რომ ტესტები ითვალისწინებდნენ არა ზოგადი ცოდნის გამოვლინებას, არამედ ბავშვის მიდრეკილებას გააზრებაში, დავალების ორიენტირებაში, სიტუაციის არასტანდარტულ ამოხსნასა და სწრაფ მიღებაში. ამ პროგრამის განხორციელების შედეგად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საგრძნობლად გაუსწრეს რუსეთს ტექნოლოგიაში, ბუნების მეტყველებაში და ზუსტ მეცნიერებებში და რა თქმა უნდა ბუნებრივია კოსმოსის ათვისებაშიც.

„მერტ"-ის სამოქმედო პროგრამა, როგორც ამას საბჭოთა მეცნიერები სარკაზმით აღნიშნავდნენ, არ ითვალისწინებდა გენიოსების აღზრდას. ბუნებით დაჯილდოებული ტალანტების მოძებნას მათთვის საჭირო სფეროში.

რაში გამოიხატება დღევანდელი ჩვენი აღზრდა-განათლების ნაკლი?

მშობლებიც და პედაგოგებიც მთელ თავის მონდომებას და ავტორიტეტს იყენებენ „ნორმალური" ბავშვის კონფორმისტის აღსაზრდელად. მათი აღზრდა განათლება მიმართულია იმისკენ, რომ ჩააქრონ ბავშვთა მოკარბებული ცნობისმოყვარეობა, სიმკვირცხლე, არასტანდარტულობა, იყოს დამყოლი, უინიციატივო, მაქსიმალურად ინერტული და მორჩილი არსება.

ჩვენს სკოლაში არსებობს ნიშანი ყოფაქცევაში—უფრო სწორედ ეს არის ნიშანი მორჩილებაზე და როდესაც მასწავლებელი ყოფაქცევაში წერს არადამაკმაყოფილებელ ნიშანს, ამით ის თითქოსდა ამყარებს წესრიგს. მაგრამ მორჩილება და კონფორმიზმი განა წესრიგია? ეს უმთავრესად არის მოზარდის თვითმყოფადობის შესახებ მათი განსაკუთრებული შეხედულებების მოჩლუნგება.

რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ ბავშვებისადმი მიდგომაზე, ჩვენმა სკოლამ ბავშვები გახადეს სოციალური შერჩევის ობიექტად მორჩილებასა და კონფორმიზმისათვის. სკოლას ხელს უშლის მოსწავლის „წინააღმდეგობა".

საზოგადოება, სადაც რამდენიმე თაობის მანძილზე წარმატებას აღწევდნენ კონფორმისტები, საბოლოო ჯამში აღმოჩნდა ადამიანის, ზნეობის და სამართლიანობის კატასტროფული დეფიციტის წინაშე. ასეთ საზოგადოებაში გარდაუვალად ბატონობენ პიროვნები, შემგუებლები, ცინიკოსები, ეგოისტები, წამგლეჯები, ხოლო ნამდვილი ადამიანები ცხოვრებაში წარმატებას ძნელად აღწევენ.

ელიტური, ექსპერიმენტალური სკოლები—ეს განცხრომის შედეგი კი არ არის, არამედ ცხოვრებისეული აუცილებლობაა, ბუნებით ნაბოძები უნიკალურ უნართა შესაბამებლად.

უტოპიაა ბავშვის აღზრდა იზოლირებულად. ეს მიუწვდომელიც არის და არასასურველიც. აუცილებელია სწავლისა და შრომის პროცესში თანატოლებთან, მეგობრებთან და თანამოაზრეებთან ურთიერთობა. სწავლა- აღზრდის პროცესს სათავეში უნდა ედგნენ ადამიანები, რომელთაც აქვთ ბავშვის სიყვარულისა და გაგების უნარი მაგრამ ეს შეუძლებელია ისეთ პირობებში, როდესაც მასწავლებელი შებოჭილია უამრავი ინსტრუქციებით და მეთოდიური მითითებებით. ეს გაგრძელდება მანამ, სანამ იარსებებს სახელმწიფო მონოპოლია განათლებაზე, რომელიც ზღუდავს სკოლას თავს მოხვეული პროგრამებით.

სახელმწიფო სკოლასთან ერთად უნდა არსებობდნენ თავისუფალი, რელიგიური, კერძო სკოლები, რაც შექმნის არჩევანის შესაძლებლობას. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი სკოლების გარეშე ჩვენ ვერ გამოვალთ არსებული ვითარებიდან. ადრე თუ გვიან ისინი გაჩნდებიან და უმჯობესია რაც უფრო ადრე იქნება იგი. ასეთი სკოლებისათვის პედაგოგების შერჩევა უნდა ხდებოდეს არა ნაცნობობით და რეკომენდაციებით, არამედ მისი შემოქმედებითი შესაძლებლობებით, პატიოსნობით და საქმისადმი ერთგულებით. ყოველმა პედაგოგმა საკონკურსოდ უნდა წარმოადგინოს კონკრეტული და კონცეფტუალური პროგრამა სკოლის მიზნების შესატყვისად.

რაც შეეხება მოსწავლეთა კონტინგენტის შერჩევას, ეს უნდა ხორციელდებოდეს არა ფინანსური მოსაზრებებით, არამედ მხოლოდ უნარისა და მისწრაფებების მიხედვით. ამ საკითხში რაოდენობრივი მხრით გატაცება უარყოფით შედეგამდე მიგვიყვანს მხოლოდ.

კულტურის, ზნეობისა და ადამიანის ღირსების აღორძინება შეუძლებელია თუ არ მივხედავთ ჩვენს იმედს—ბავშვებს. ჩვენ ღრმად უნდა შევიგრძნოთ ის კატასტროფული მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა ჩვენი სწავლა-აღზრდის სისტემა.

საჭიროა ძირეულად გარდაიქმნას მასწავლებელთა შერჩევისა და მომზადების სისტემაც და მოვამზადოთ ისეთი პედაგოგები, რომლებიც შეძლებენ მოუმზადონ თავისუფალ საქართველოს ღირსეული თავისუფალი მოქალაქეები.

ანზორ საბეკია,
პედაგოგი.

---

## არა, ასე ვერ ჩარსებებს სამართველო

რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო გაუქმების საშიშროების წინაშეა. დანერგილი 14 დარგიდან 7-მა ვერ შეასრულა 9 თვის დავალება. ადგილი აქვს კადრების დენადობას. ფუნქციონირება შეწყვიტა ქიმწმენდისა და შეღებვის, კოსმეტოლოგის, კერამიკის, საპანაშვიდო მომსახურების (ცოცხალი მუსიკით), რეცხვის საამქროებმა.

აღნიშნულ და სხვა მტკივნეულ საკითხებზე მივმართეთ სამმართველოს უფროსს ბ. კორკელიას რომელმაც განაცხადა:

—მას შემდეგ, რაც მოხდა ორი სამინისტროს (საქართველოს კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების), გაერთიანება თვალსა და ხელშუა გაქრა მასალებით უზრუნველყოფა, რამაც გამოიწვია სპეციალისტთა დენადობა და მომსახურების ზოგიერთი დარგის გაუქმება. თუ კი 1985 წლის მონაცემებს შევადარებთ მიმდინარე წლისას მივიღებთ ასეთ სურათს: 5 წლის წინ გვერიცხებოდა ფეხსაცმლის ოთხი მკერავი, წელს კი ერთი, ფეხსაცმლის შემკეთებელი გვყავს 19 ერთეულით ნაკლები, დალაქი 14-ით ნაკლები, სარეცხი მასალების მოუწოდებლობის გამო გავაუქმეთ სამრეცხაო. არ ინერგება მომსახურების არც ერთი ახალი დარგი 200 ტონის ნაცვლად გამოყოფილია 18 ტონა ბენზინი. აღნიშნულ და სხვა მტკივნეულ საკითხებზე იმსჯელა კოლექტივმა საერთო კრებაზე. კრებამ მიიღო დადგენილება მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით სამმართველო გადაკეთდეს კოოპერატიულ ორგანიზაციად.

სამმართველო, სადაც გაერთიანებულია 250-მდე მუშა-მოსამსახურე და ეს ციფრი რომ არ მიემატოს რესპუბლიკის უმუშევართა სიას კოლექტივმა მიიღო დადგენილება ამჟამად სამმართველოში არსებული ყველა ძირითადი საშუალებები გადავიდეს კოოპერატივის საკუთრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ისედაც და ისედ მოსალოდნელია მომსახურების დარგების შემცირება, საერთო შემოსავლის კლება...

მართლაც რომ ნულამდეა დასული საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მასალებით უზრუნველყოფის საკითხი, რამაც წარმოშვა ხელოსნების მოთხოვნა გადაეცეთ მათ პირად საკუთრებაში მომსახურების სფეროები, სათანადო ღირებულების გადახდით. იმის გამო, რომ არ დაიშალოს ორგანიზაცია და მას შემდგომი არსებობის საშუალება მიეცეს არის ერთი გამოსავალი—მისი კოოპერატივად გადაკეთება, რათა ორგანიზაციას მიეცეს მეტი თავისუფლება, არ იყოს დამოკიდებული სამინისტროზე და თვითონ განაგებდეს თავის საქმიანობას, ხოლო ის თანხები რომელიც ამჟამად გაუმართლებლად მიაქვს სამინისტროს დანახარჯის ორგანიზაციის გამგებლობაში, ხოლო ამჟამად არსებული მომსახურების სახელმწიფო ფასები გაუტოლდეს საბაზრო ფასებს რომელიც იქნება გარანტია იმისა ხელფასი იყოს ის, რაც ხელოსნებს ეძლევა ამჟამად მომხმარებლისაგან.

მუშა-მოსამსახურეთა ამ მოთხოვნას ალბათ უმოკლეს დროში განიხილავენ შესაბამისი სამინისტრო და რაიონული საბჭოს აღმასკომი, შედეგები მოხსენდებათ მკითხველებს.

ბ. აბულაძე,

## კეთილსინდისიერი შრომის ხიბლი

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ისტორია შორიდან მომდინარეობს. თავის დროზე სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის და მისი მეუღლის ეკატერინე ჭავჭავაძის ინიციატივით დაარსებული ეს ხასიათი წალკოტი ყველა თოთ და ბუჩქს ცოცხალ არსებასავით ეფერებოდა.

ხასიათოვნო შტრიხია ის, რომ ლირსეული მამის კვალში დგას მისი ერთადერთი მემკვიდრე ვანო კურდღელია—გვითხრა ბაღის უფროსმა ბუღალტერმა ნორა გოგიამ. იგი სრულიად

## მამისეული გატაცებით

ბიჭისთვის საყვარელი ადგილია. ამ კოლექტივში არაერთ კოლორიტულ პიროვნებას უმუშავნია ადრეც, ბუნების საყვარელი. ჩვენი კუთხის მკვიდრთ ახსოვთ ხანდიმიანი, ჩუმი და უპრეტენზიო მოხუცი ნიკო კურდღელია. საუკუნის დასაწყისიდანვე ემსახურებოდა იგი ფუძნგარიდ აღნიშნულ ბაღს, როგორც მებაღე დეკორატორი. იგი არ გახლდათ სპეციალური განათლებით აღჭურვილი მუშაკი, მაგრამ ბაღის ხანდაზმული თანამშრომლები დღესაც მოწიწებით იგონებენ ამ თვითნასწავლ მებაღეს, ბუნების ჭეშმარიტ მიჯნურს, რომელიც ყოველ ხეს ახალგაზრდა მოიყვანა მამამ აქ და გვერდში ამოიყენა. ასწავლა თავისი პროფესია. დამუხტა ფლორისა და ფაუნის სიყვარულით. რა ვინდა ვანოს ხელმა არ გააკეთოს. იგი ამყნობს, ამრავლებს ტბორში თევზებს, ფულის უნიკალური ჯიშის ფრთოსნებს, აშენებს დეკორატიულ, ლამაზ ყვავილნარებს, კლუმბებს და ა. შ.

გამოცდილი მუშაკი მამისეულ ერთ უნარსაც ფლობს. იგი ხელობას ყადრს ასწავლის ახალბედებს, რომლებიც ამ ბაღში მრავლად არიან. ვანო მათთვის შრომისმოყვარეობის, კეთილსინდისიერების მაგალითად ქცეულა.

ა. გაბუნია.

უცხოეთის პრესიდან

## საქართველოს ვიწრო ბილიკი

ჟურნალი „სახელმწიფო და სამართალი" მიმდინარე წლის მეცხრე ნომერში ბეჭდავს სალომე ქართველის სტატიას: „საქართველოს ვიწრო ბილიკი". დედით და მამით ქართველმა, ფრანგმა დიპლომატმა ამ ფსევდონიმით გამოაქვეყნა ეს სტატია საერთაშორისო პოლიტოლოგიურ ორგანოში—„ჟორნალ ოვ ინტერნეშენალ ეჯვარზ" (1989, №4).

მკითხველს ვთავაზობთ მცირე ნაწყვეტს ამ პუბლიკაციიდან:

„1956 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის იმჟამინდელი პირველი მდივანი მჟავანაძე იმ დროს მომხდარი ამბებისათვის ისევე არ დაზარალებულა, როგორც ცუდი არაფერი დამართნია პირველ მდივანს ორახელაშვილს 1924 წელს. ახლა კი რა ხდება?! როგორც სომხეთში, ისევე აზერბაიჯანში ხელმძღვანელობა გადადგა, გინაიდან ასეთი არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ: ან ხალხისაგან სრული გაუცხოება, ანდა წესრიგისა და კანონიერების განსხრეული ლაცვა. ამ მაგალითის კარნახით საქართველოს ხელმძღვანელობამ თვეების მანძილზე რა ხერხებს არ მიმართა მოსახლეობასთან დიალოგის მისაღწევად და გარკვეული ნდობის მოსაპოვებლად. იგივე ითქმის ბალტიისპირეთის რესპუბლიკებზე. სადაც პარტიული ხელმძღვანელობა ეროვნული მოთხოვნების თვალსაზრისით ხოგჯერ წინ უსწრებს ხალხს.

რაც შეეხება ეროვნული საკითხის მომავალს კავკასიაში, ერთობ ძნელია რაიმეს წინასწარმეტყველება, გინაიდან სიტუაცია გამუდმებით იცვლება ყოველდღიურად. მაგრამ რამდენიმე ჰიპოთეზური მოსაზრების წამოყენება მაინც არის შესაძლებელი.

ჯერ ერთი, სომხეთ-აზერბაიჯანის საკითხი დარჩება მოუგვარებელი, ცვალებადი ძალით მუდმივმოქმედ კონფლიქტად, რომელიც გამწვავდება ყოველ ისეთ მომენტში, როდესაც მოძმღავრდება და დესტაბილიზაციის ფაქტორად იქცევა ბალტიისპირელებისა და ქართველების ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნები.

მეორე, ცენტრალური ხელისუფლები მოსკოვში წავლენ დაუყოვნებლივ და აშკარა დათმობებზე და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეურიგდებიან ძალაუფლების განაწილებას რესპუბლიკების ხელმძღვანელებთან. ამ საკითხში მეტ სიცხადეს შემოიტანს ცვლილებები პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში, რომელიც ჯერჯერობით არ ამჟღავნებს მისწრაფებას ძალაუფლებების გადაცემისაკენ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისათვის.

მესამე. მოსალოდნელია ნაციონალისტური ექსტრემიზმის ზრდა. ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლება თუ მას თავის გადარჩენა სურს, დაუყოვნებლივ და ბატონობის ტრადიციულ ხერხს მიმართავს. ხელისუფლება უოველნაირად შეუწყობს ხელს ეროვნებათა მხრიდან საპირისპირო თვალსაზრისთა წამოყენებას ისეთი ვითარების შესაქმნელად, როდესაც ეს თვალსაზრისები დაუპირისპირდება და დაასუსტებს ერთმანეთს, რაც ცენტრალური ხელისუფლების ხაშუალებას მისცემს ყველას თვალში გამართლებული გამშველებლისა და არბიტრის მოსამართლის როლი შეასრულოს.

დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ბოლო წლებში ფართო პოპულარობით სარგებლობს სუბტროპიკული მცენარე „კივი", რომლის ვიტამინებით მდიდარი ნაყოფიც სასარგებლო და მარგებელია. ხაქმაოდ ძვირად ფასობს იგი საერთაშორისო ბაზრებზეც. ბევრმა არ იცის, თუ საიდან მოვიდა იგი, რა მცენარეა და რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას.

ამასთან დაკავშირებით ვბეჭდავთ გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში" გამოქვეყნებულ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ი. ლეკვეიშვილის წერილს.

## ახალი ხილი—„კივი"

აქტინიდია—კივი წარმოშობის ადგილისა და ბიოლოგიური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება სუბტროპიკულ მცენარეთა ჯგუფს, აქტინიდიების ოჯახს და 36 სახეობას შეიცავს. უმრავლესობა მრავალწლიანი ორბინიანი მხვიარა ხემცენარეებია. არის ნაგალი ფორმებიც. გავრცელებულია აღმოსავლეთ აზიის სუბტროპიკულ ქვეყნებში. წარმოშობის ცენტრად ითვლება ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთი.

აქტინიდიას მეტად ლამაზი ყვავილების გამო დეკორატიული მიზნებისთვის იყენებენ. მხოლოდ ხუთი სახეობა იძლევა ადამიანის ჯანმრთელობისათვის მეტად სასარგებლო და გემრიელ ნაყოფს. შეიცავს შაქრებს და დიდი რაოდენობის „C" ვიტამინს.

საბჭოთა კავშირში ჩინური აქტინიდია პირველად გამოცადა ი. ვ. მიჩურინმა, შორეული აღმოსავლეთის სახეობებთან შეჯვარებით მან მიიღო რამდენიმე მსხვილნაყოფა ჯიში.

შავი ზღვის სანაპიროზე აქტინიდიის პირველი ნარგავები გამოჩნდა ყირიმში ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში. ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოტანილი თესლით მიღებულ იქნა აქტინიდიის ნერგები. ნაწილი ამ ნერგებისა გამოიგზავნა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში 1936 წელს. დაირგა რამდენიმე მცენარე, რომლებმაც ამჟამად საყრდენი ხეების სიმაღლეს გადააჭარბეს და განტოტება 400 კვადრატული მეტრის ფართობზე გავრცელდა. 20 წლიან ერთ მხვიარა მცენარიდან 1978 წელს მიღებულ იქნა 200 კილოგრამით მეტი ნაყოფი. ნერგების გამოყვანას აწარმოებენ პოლიეთილენის პარკებში დაკალმებით. ბოტანიკური ბაღის მეცნიერ თანამშრომლის მოროზოვას აღწერით ნაყოფი მოგრძო ოვალური ფორმისაა, კანი—ოქსკისებრი, მოწითალო ღიფერული მოხაკისფერი ბუსუსებით, ადვილად მოსაცილებელია მწიფე ნაყოფებიდან. თესლები წვრილი, მრავალრიცხოვანი და გემრიელია; აკადემიკოსი პ. მ. ჟუკოვსკი შრომაში „კულტურული და მისი მონათესავე მცენარეები" იძლევა ამ მცენარის კულტურული სახობების დახასიათებას.

1. კოლომიქტა. ხეზე მცოცავი ბუჩქოვანი ლიანაა, რომელიც 7 მეტრს აღწევს. საყრდენის გარეშე დაწოლილ მდგომარეობაშია და ფესვიანდება ტოტების კვანძებში. ფოთოლი 6,5-15 სანტიმეტრი, სიგანე 3-12 სანტიმეტრი. დაკბილული ნაპირებით, ძარღვების გასწვრივ წითური ბუსუსები გაძლევს. ყვავილები თეთრი, ორბინიანი, ერთეული ან წვრილად მოთავსებულია ფოთლების ყუნწთან, იძლევა მწვანე და გემრიელ 4X2,5 სანტიმეტრი ზომის მრავალთესლიან ნაყოფებს. იყენებენ ნედლად გამხმარს, ამზადებენ მურაბებს, კონსერვებს. ყველაზე მეტი ყინვაგამძლე სახეობაა. ნაყოფი 4,5-8,8 პროცენტ შაქარს შეიცავს, მჟავიანობა 0,78-2,14 პროცენტი, ვიტამინების შემცველობით ციტრუსებს 10-13-ჯერ აჭარბებს (ერთ კილოგრამში ვიტამინი „C" 9.300 მგ) აღნიშნული სახეობიდან მიჩურინმა სამი ყინვაგამძლე და მაღალმოსავლიანი ჯიში მიიღო: მიჩურინის ანანასური, მიჩურინის მსხვილნაყოფა და კლარა ცეტკინი. აკლიმატიზირებულია ლენინგრადის ოლქში.

2. წვეტიანკბილა—ისიც მხვიარა მცენარეა, რომელიც 7 მეტრის სიმაღლემდე აღწევს. ღეროს დიამეტრი 15-18 სანტიმეტრია. ფოთოლი მკვრივი 8-12, 4,5-7,5 სანტიმეტრი, კვერცხისებრი, ბოლო წვეტიანი. ნაყოფი სხვადასხვაფორმისაა, მწვანე ან მოყვითალო, ზოგჯერ შეფყლეტილი, 6X4 სანტიმეტრი, მეტად წვნიანია და მრავალი რაოდენობის წვრილ თესლებს შეიცავს, უხვადმსხმოიარეა, ვიტამინ „C"-ს შეიცავს ნაკლები რაოდენობით; ნაყოფებს იყენებენ ღვინის დასამზადებლად, ნაკლებადაა გავრცელებული. ამ სახეობიდან მიჩურინმა მიიღო მაღალმსხმოიარე, საადრეო და საგვიანო ჯიშები.

3. მოლუგამუხი, სამბინიანი წვრილდერიიანი 5 მ სიმაღლემდე მზხავი ლიანაა, მთავარი ღეროს სისხო 2 სანტიმეტრს არ აღემატება. ნაყოფი ლიმონისებრი, ნარინჯისფერია, ზოგჯერ ზოლებიანი, სიგრძით 2-5 სანტიმეტრი, დიამეტრი 2,6-2 სანტიმეტრი გემოთი მწვავეე მწარე. გავრცელებულია ჩრდილო და დასავლეთ ჩინეთში, კორეაში, იაპონიაში სხვა სახეობებთან შერევით.

4. ჩინური მხვიარა, რომელიც 8 მეტრ სიმაღლეს აღწევს, ფოთლები ფართო 6—17X6-15 სანტიმეტრი. კვერცხისებრი, ქვედამხრიდან მოწითალო ბუსუსებით. ყვავილი მსხვილი, ნარინჯის ფერი—მოყვითალო, მრავალი მტვრიანებით. ნაყოფი ნახევრად მრგვალი, დიამეტრი 3 სანტიმეტრი, შებუსული, არომატული, წვნიანი, მეტად გემრიელი. მის საუკეთესო სახეობას წარმოადგენენ: ჩინური და სეტოზა (1300-2600 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან). ამ სახეობიდან კულტურული ჯიშები მიღებულია ახალ ზელანდიაში. აქ მიღებულ მსხვილნაყოფიან ჯიშებს ეწოდა „კივი"— იმ ფრინველის სახელწოდება, რომელიც ახალ ზელანდიაში ყოფილა გავრცელებული. ამ ქვეყანას მსოფლიო ბაზარზე ყოველწლიურად 4-5 ათასი ტონა ნაყოფი გააქვს და შემოსავალსაც დიდს ღებულობს. მან ფართო გავრცელება მოიპოვა რიგ ევროპულ ქვეყნებში: ბულგარეთში, იუგოსლავიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, უნგრეთში, სადაც სხვა ხეხილთან შედარებით ევროპის ბაზარზე ძვირად ფასობს. პროფესორმა ბ. სარჯველაძემ მას „სიცოცხლის ხე" უწოდა. საჭიროა ვიცოდეთ ისიც, რომ აქტინიდია საბჭოთა კავშირში და საქართველოშიაც ცნობილი იყო მხოლოდ ნაშდვილი სახელწოდებით „აქტინიდია", „კივი" მისი ერთ-ერთი ჯიშის სახელია. ჩვენს პირობებში ეს ჯიში გამოცდილი არ არის. შემუშავებული არ არის აგროტექ მისი გაშენების წესების და მოვლა-მოყვანის აგროტექნიკა.

მიუხედავად ამისა, ამ კულტურამ დიდი ინტერესი გამოიწვია. პირველი ინიციატივა მის გავრცელებაზე სენაკის რაიონის აგროსაწარმოო გაერთიანების ეკუთვნის, სადაც ფართოდ გაიშალა მუშაობა ბულგარელი სპეციალისტების დახმარებით. ჩამოტანილია 8200 ნერგი, რომელიც გამოყენებულ იქნა 13 ჰექტარი პლანტაციის გასაშენებლად. გათვალისწინებულია ფართობის გაზრდა 50 ჰექტარამდე და სარგავი მასალის გამოყვანის ორგანიზაცია. გასათვალისწინებელია, რომ აქტინიდიის ეს ჯიში ჩვენი პირობებისათვის მეცნიერულად არ არის შესწავლილი და გამოცდილი, ამიტომ ნაადრევად მის ფართო გავრცელებაზე თავი უნდა შევიკავოთ. პირველ რიგში, საჭიროა გამოვცადოთ ყინვაგამძლეობაზე, სხვადასხვა რეგიონში ცნობილია, რომ მათი ყინვაგამძლეობა 17 გრადუსს აღწევს, მაგრამ კულტურული ფორმები შეიძლება დაზიანდეს შედარებით მაღალი ტემპერატურის პირობებში, რომელსაც ხშირად აქვს ადგილი სუბტროპიკულ რაიონებში.

## თვალსაზრისი

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო-დრამატული თეატრი ოდითგანვე გამოირჩეოდა დახვეწილი თეატრალური ესთეტიკით. მისი მომთხოვნი მაყურებელი კი მაღალი გემოვნებითა და თეატრისადმი სიყვარულით. ამ თეატრის მიზანსწრაფვა, პოზიცია ყოველთვის იყო მკვეთრად განსაზღვრული და მართებული. ალბათ ამიტომაც ქალაქი ზუგდიდი საქართველოს თეატრალური ეროვნული კულტურის ერთ-ერთი კერა იყო.

დღესდღეობით, როცა საქართველოში ეროვნული გამოფხიზლების პროცესი მიმდინარეობს, თეატრს, ისე როგორც არასდროს, მეტად მძიმე მისია აკისრია, მაგრამ ამ სულიერი კათარზისის აუცილებლობის ჟამს თეატრი ფაქტიურად ცხელი მოვლენების მიღმა დარჩა. იგი ჭეროვნად ვერ ეხმაურება საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამის საფუძველი ალბათ არც თუ ისე შორეულ წარსულში უნდა ვეძებოთ. არ შეიძლება ეს პრობლემა ცალმხრივად, ერთსახოვნად განვსაჯოთ. მაყურებელმა, რომელმაც დღევანდლამდე მხარდაჭერითა და ცხელი ემოციებით „მოიტანა" მისი საყვარელი თეატრი, ტრანსფორმაცია განიცადა. ჭეშმარიტი თეატრალური გზნებითა და სიყვარულით გამსჭვალული მაყურებელი დეფიციტი გახდა.

იმ ქალაქში, სადაც ტოვნებით დაინტერესებული ხელმძღვანელობაა თეატრალური ცხოვრებაც მეტნაკლებად მრავალფეროვანი და მოწესრიგებულია. რით შეიძლება ავხსნათ ის სამწუხარო ფაქტი, რომ შინაგანი პოტენციური ძალის მქონე ყველა შემოქმედი ხანმოკლე მუშაობის შემდეგ იმედგაცრუებული ტოვებს ქალაქს.

დღეს, როცა ზუგდიდის თეატრის პრესტიჟი საკმაოდ დიდია, დგება ერთი მეტად მტკივნეული საკითხი—სჭირდება თუ არა თეატრი ზუგდიდის საზოგადოებას. პასუხი ერთია—რა თქმა უნდა, სჭირდება (ჩვენი თეატრი კი გაშლილ ზღვაში უკაპიტნოდ მიტოვებულ, ორიენტაციადაკარგულ გემს წააგავს). ქალაქის ხელმძღვანელობამ, ინტელიგენციამ ყოველ

# გვჭირდება თუ არა თეატრი?!

გვარი პირობები უნდა შეუქმნან ახალგაზრდა სპეციალისტებს, როგორც მატერიალური, ასევე სულიერი თვალსაზრისით, რათა მოხერხდეს მათი სტაბილური მუშაობა თეატრში. ამის შემდეგ თეატრმა შეიძლება დაიკავოს კუთვნილი ადგილი საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში.

თეატრს არ ჰყავს მთავარი რეჟისორი, სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელთა გარეშეც შეუძლებელია მისი არსებობა. მას სჭირდება ლიდერის ნიშნით გამორჩეული ხელოვანი, პატრიოტული გრძნობით აღსავსე ღირსეული ადამიანი, რომელიც სათავეში ჩაუდგება ამ რთულ მექანიზმს.

თეატრს არა აქვს ნორმალური მუშაობის პირობები, გაუმართავია ტექნიკური საშუალებები, არ ექცევა ყურადღება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ეს კი თეატრის სისხლსავსე ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ამ პრობლემებზე ფიქრი და ზრუნვა როგორც თეატრის მსახურთა, ასევე თითოეული ზუგდიდელის ვალია. რაოდენ დასანანია, რომ ასეთი მდიდარი ტრადიციების მატარებელ ქალაქში მცნებებმა— ხელოვნება, ადამიანის სულიერი სამყარო — მეორე პლანზე გადაინაცვლა.

მივცეთ გზა ფართო ხელოვნებას. დავუშვათ ყოველგვარი მიმდინარეობის სპექტაკლი, რათა ჩვენს გაფერმკრთალებულ კულტურულ ცხოვრებას ეს ერთადერთი სალოცავიც არ გამოეცალოს.

ამ წერილის მიზანს არ შეადგენს თითოეულ წამოჭრილ პრობლემათა მიზეზის კვლევა, იგი მხოლოდ თეატრის სარკეა და ახლოდან მაყურებელი ადამიანის გულისთქმაა. ჩემი სევდანარევი განწყობილება არ მინდა მკითხველს თავს მოვახვიო, ამიტომაც ჩემს წერილს ოპტიმისტური ნოტით დავასრულებ.

ზუგდიდელი მაყურებელი ახლო მომავალში იხილავს ორ პრემიერას: უნგრელი დრამატურგის ლასლო დიურკოს ორმოქმედებიან ტრაგედიას „ელექტრა —ჩემო სიყვარულო". რომლისაც ანხორციელებს უნგრელი ეროვნების რეჟისორი ეგორ საბო და ქ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი" ნოდარ დეისაძის რეჟისორობით. იმედია, შალვა დადიანის სახ. დრამატული თეატრი კვლავ მიიპყრობს მაყურებლის ყურადღებას და წარსდგება მის წინაში ეროვნულ-მოქალაქეობრივი მრწამსით დამუხტული, ყოველივე ქმთილი საქმის მედროშე.

ნინო ჭანტურია,
ხელოვნებათმცოდნე.

## პ. მ. ყალიჩავა

ჩვენი ქალაქის სახალხო განათლების მუშაკთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი პედაგოგი საქ. სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, პერსონალური პენსიონერი, სკპ წევრი 1939 წლიდან პარმენ მოსეს ძე ყალიჩავა.

იგი დაიბადა 1904 წელს სოფელ ქვედა ჩხოროწყუში. 1924 წელს დაამთავრა ზუგდიდის პედაგოგიური ტექნიკუმი და დაიწყო მასწავლებლად ტყაის დაწყებით სკოლაში, ხოლო 1925 წელს გადაიყვანეს დიდინეძის შვიდწლიან სკოლაში. 1930 წელს პ. ყალიჩავა შედის თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომლის დასრულების შემდეგაც 1934 წლიდან მუშაობს ზუგდიდის №3 არასრულ საშუალო სკოლაში. სხვადასხვა დროს იგი იყო ქალაქის №3 საშუალო სკოლის მასწავლებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის ზუგდიდის სეისმური სადგურის თანამშრომელი.

სამამულო ომის დაწყებიდანვე პ. ყალიჩავა ჩარიცხული იქნა გამანადგურებელ ბატალიონში და ომის დამთავრებამდე მის შემადგენლობაში იმყოფებოდა. მან აქტიური მძიმე საომარ ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის პ. ყალიჩავას დამსახურება აღინიშნა სხვადასხვა ორდენითა და მედლებით, მადლობებით.

ამაგდარი პედაგოგის პარმენ ყალიჩავას ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების, აღზრდილებისა და ახლობლების გულში.

ქ. ზუგდიდის №8 საშუალო სკოლის კოლექტივი.

რედაქტორი
ზა ჭანტურია.

უკანასკნელ ხანს ქალაქში ძალიან გახშირდა მოხეტიალე პირუტყვთა თარეში, რომლებიც ულმობლად ანადგურებენ მწვანე ნარგავებს და ქმნიან ანტისანიტარიას, მდგომარეობა იმდენად გართულებულია, რომ ალაგვეთ ოინისძიებით გატარების გარეშე საქმე ვერ სწორდება.

პირუტყვთა მეპატრონეებთან არაერთგზის საუბარმა შედეგი ვერ გამოიღო.

ამასთან დაკავშირებით ვატყობინებთ მოსახლეობას, რომ მიმდინარე წლის 8 ნოემბრიდან იწყება პირუტყვთა დაჭერა მეპატრონეთა დაჯარიმებით, ასევე მაწანწალა ძაღლების განადგურება ცეცხლსასროლი იარაღით.

კომუნალური მეურნეობა.

ელექტროენერგიის მომხმარებელთა საყურადღებოდ!

1990 წლის 18 ნოემბერს 9 საათიდან 18 საათამდე შეუწყდება ელექტროენერგიით კვება შემდეგ ქვესადგურებს: მთ. №1—110 (35) 6 კვ. ზუგდიდი №2, ზუგდიდი №3, ცაიშის, ნარაზენის, ანაკლიის, კახათის, დარჩელის და გეოლოგიის ქვესადგურებს.

ენერგოზედამხედველობა.

შვილები: ეთერი, ლუსია, სულიკო, თინა, ვარდო სვერთანიძ, ზაირა, მზია, დარეჯანი, ძმა შალვა, რძალი ლუსია ასიევა, სიძეები გივი შონია, ვალიკო თოდუა, ნოდარი კვარაცხელია, თემურ თითმერია, ომიკო კუტალია, გალერი კუტალია. შვილიშვილები: ელისაბედი, მაია, გოჩა, კახა, კობა, გია, მაკა, იკა, ლანა, ვიოლეტა, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან გრიგოლ (გრიშა) ისიდორეს ძე ბიჭიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 ნოემბერს, დაკრძალვა 10 ნოემბერს. გამოსვენება კობახიძის ქუჩა 39-დან.

შვილები ლიანა, სოკრატი, შვილიშვილები: ქეთევანი, სოსო ჩიქოვანი(?), ჯონი, გოჩა მიშველიები, სიძე ვალიკო მიშველია, ცოლისძმა სოკრატი პეტრიდისი, რძლები ტატიანა ბულია, ნონა სიჭინავა, თამილა კვირკველია, ნინო ჯიბლაძე, ცოლისძმისშვილები ფრიდონი, თინა, ცოლის ძმები(?) ავთანდილ, თემურ პეტრიდისები, გურამი, ილარიონი ხოფერიები, მეზობლები: არჩიკო, ლამარა სიჭინავები, ახლო ნათესავები იუწყებიან სოლომონ მელქიზედეკის ძე რევიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 ნოემბერს, დაკრძალვა 11 ნოემბერს სოფ. დარჩელში.

მეუღლე ბაგრატი, შვილი ბიანა კვირკველიები, ძმა ტიტე შელია, მეული ჯოგუცა(?). მაზლები: ვალერიან, მიხეილ კვირკველიები, ბიძაშვილები: ეთერ ქოცურია, ნელი, ბორის, გოგი შელიები, დიდდაშვილები: სულიკო, მარიამ, ბორის, გიგლა ვეკუა, ლადოშა ყალიჩაია ოჯახებით იუწყებიან ნინა გრიგოლის ასულ შელია-კვირკველიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 ნოემბერს ჩხოროწყუში. გამოსვენება ლესელიძის ქ. 9, 17 საათზე.

დედა ლიზა, მეუღლე მზია, შვილები: მანუჩარი, მანონი, ძმები: ბონდო, ბორისი, თოთო, სიძე ნუგზარ ბულია, რძლები: მიმოზა, ნონა, რიმა, მანანა, ძმისშვილები: მირანდა, კობა, ხატია, მონიკა, ალიკა, დისშვილი გოჩა, სიდედრი ლენა, ცოლისძმები: რევაზი, ჯიმი, ცოლისდა ქეთო, ქვისლი გურამი ლუბელაძე, დეიდები: ნორა, ნელი, მამიდები: ლუბა, ჟუჟუნა, ჟუჟუნა(?), ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან მერაბ ჭიჭიკოს ძე ზარქუაძის(?) გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10, 11 ნოემბერს, დაკრძალვა 13 ნოემბერს. გამოსვენება კალინინის პირველი შესახვევი 29.

მეუღლე თამარი ლოგუა, შვილები: აზა, თენგიზი, და ლილა, სიძეები: ნუგზარ შენგელია, პლატონ ჯანელიძე, შვილიშვილი ლევან შენგელია, დისწულები: ლილი, ნონა კვარაცხელიები, ლადო, ნათელა, ნორა, ემილ ჯანელიძეები, ბიძაშვილი არიადნა კეტია, მეზობლები: ბაბუცა და შოთა შენგელიები ოჯახებით იუწყებიან მიტროფანე ერასტოს ძე კეტიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 ნოემბერს, დაკრძალვა 11 ნოემბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ჟუკოვის 58.

ლიდა მიმოზა მამა ინდიკო, ძმები: მურთაზი, გელა, დები ლილა, ირმა ბარკალაიები, ბებიები ვარო, მაია, მამიდები: ნორა, ვალია, დეიდები: თინიკო, ლარისა, ნათელა, ბიძები: ბორია, რაულ, ვალერი ფირცხელავები, ლურა(?) ქადაგი, ჟორჟი ჯაბუა, მიშიკო ფიფია, მამიდაშვილები: ზოია, როზა, დემური, ნოდარი ქადაგები, დარიკო ჯაბუა, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან ასმათ ინდიკოს ასულ ბარკალაიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 ნოემბერს, დაკრძალვა 11 ნოემბერს სოფელ კოკში.

კანათის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამირან ბათლომეს ძე ნიჟინაძე და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილები აპოლონი, არჩილ ქანთარიები, სიძე შოთა როგავა, შვილიშვილები: ნელი, ვარცელინა, იგორი, მარინა, დიმიტრი, როზა, ჯულიეტა, კლარა, მამუკა ქანთარიები, აზა, ბესიკო როგავები, ძმა ალექსანდრე სამუშია, დები: ვერა, ტანია სამუშიები, რძლები: ციცო, ჟუჟუნა, ეთერი, გულშა, ლუჩია, ჯულნაზი, მანანა, ლარისა, ძმისშვილები: ზაური, ზაირა, მურთაზი, ზურიკო, აზა სამუშიები, დისშვილები ეთერი, ლიანა, ლაზი, მზია ბოლქვაძეები(?), გიგლა, ჯემალ, ინგა ტოლორაიები(?), ნუგზარ გაბელაია, მეზობლები თამარა, ნიკო, მანშიშვილები: ლიანა, ნუცა, ნორა ქირიები, ალექსანდრე კოკაია(?), გოჩა მარკო ჯაქელები, შვილიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან ფეფია გუზარის ასულ სამუშია-ქანთარიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 ნოემბერს, დაკრძალვა 11 ნოემბერს სოფელ ყულიშკარში.

ზუგდიდის ნაკლამეურნეობათშორისი სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჯულიეტა მალაქიას ასული ზაქუა-ჯაბუა და ნამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ლიდა ჭვეპე, მეუღლე ლენტუშა, შვილები: თამაზი, ჯამბული, ლია, ძმა თალიკო, დები: ლალი, მარგო. სიძეები: დავიტი სიჭინავა, თამაზ ჯანაშია, რძლები: მზია აბშილავა, ირინა ფიფია, ნელი შეროზია, გულიკო სიჭინავა, მაკონა აბშილავა, შვილიშვილები: ჯილდა, მურადი, ჯაბა, მაია, ანა, ძმისშვილები: გენადი, მერაბი, ბადრი, ანზორი, დიდები: თედორა, კეტე, ვენე მიქაბერიძეები, დისშვილები: მზია, რუბენი, რუზგენი, რევდიკი, ირა, ასმათი, ზოია, ნინო, ბიცოლები: ჟუნა, ჯრაქაშა(?), ბიძაშვილები: დალიოსი, როზიკო, ზაური, რაინდი, რამე, რომანი, ინეზა, ციალა, გულნარა, იზოლდა, ცოლისძმები: გურამი, ტარიელ მანჯავარიები, ცოლისდები: ციალა, მიმოზა დარასელიები, ახლო ნათესავები იუწყებიან ლოლა(?) აკაკის ძე შაყულაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9 ნოემბერს. დაკრძალვა 10 ნოემბერს დარჩელში.

შვილი ლარგო ჩხაიძე, რძალი ლოლიტა გოგია, შვილიშვილები: ნინო, მერაბი, ავთო ჩხაიძეები, რძლები: ლალი ყორშია, ხათუნა ხუბულია, სიძე თენგო როგავა, შვილიშვილისშვილები ეკა ჩხაიძე და მიშიკო როგავა იუწყებიან თამარა ესოვის ასულ ვახაძე-ჩხაიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 ნოემბერს. დაკრძალვა 11 ნოემბერს. სოფ. სუფსაში (ლანჩხუთის რაიონი).

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000 შეკ. №4763